



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების
შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ
წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნის პროექტი

ფილოლოგია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2024 წლის 22 აპრილი



დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი ირინა

გვარი ლობჯანიძე



ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	ფილოლოგია
2	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
3	კვალიფიკაციის დონე ²	მე-8
4	კვალიფიკაციის დასახელება	ფილოლოგიის დოქტორი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითებით ³	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) ⁴	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	40
9	განხორციელების ადგილი ⁵	თსუ I კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1), V კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №36) VIII კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №13)
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი- აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 183131 ; 16.02.2023
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	15.02.2023
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	15.02.2024 ⁶
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	15.02.2030

¹ დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

² ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁴ განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

⁵ ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

⁶ დაწესებულებამ გადააცილა აღნიშნულ თარიღს ხაზინის მიერ დაგვიანებით მოწოდებული საგადასახადო მოთხოვნის გამო, იხ. დოკუმენტი # 3443/01-06-03



საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი⁷

1. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებულებისათვის;

⁷ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით



2. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს უცხო ენის B2 დონეზე ცოდნა;
3. რეკომენდებულია სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში (სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება), ინტერაქციას როგორც სტუდენტებსა და პერსონალს, ასევე თავად სტუდენტებს შორის;
4. რეკომენდებულია ტრენინგის ჩატარება ონლაინ და შერეული სწავლების მეთოდებსა და ინსტრუმენტებზე აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას ელექტრონული/დისტანციური სწავლება შესაბამისი მეთოდების გამოყენებით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁸

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის ვადად საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად განესაზღვრა 2024 წლის 15 თებერვალი, თუმცა უსდ-მ ანგარიში წარმოადგინა დაგვიანებით 2024 წლის 26 თებერვალს. წარმოდგენის ვადის გადაცილება გამოწვეული იყო ხაზინის მიერ მოწოდებული საგადასახადო მოთხოვნის ვადის გადაცილებით, იხ. დოკუმენტი # 3443/01-06-03.

ანგარიშის მიხედვით, ანგარიშის მოსამზადებლად სამუშაო პროცესის დაგეგმვა მოხდა ფილოლოგიის პროგრამული განვითარების კომიტეტის სხდომაზე. ანგარიშში მითითებული ინფორმაციით პირველ ეტაპზე პროგრამისთვის რეკომენდებულ ცვლილებებზე იმუშავეს აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორმა, დარგობრივი მიმართულებების ს/ს ინსტიტუტების ხელმძღვანელებმა და პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა ჯგუფმა. შემდეგ საკითხი განსახილველად კვლავ პროგრამული განვითარების კომიტეტის სხდომაზე იქნა გატანილი, რომელსაც ესწრებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, განმახორციელებელი პერსონალი და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი. გარდა საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორისა, დარგობრივი მიმართულებების ს/ს ინსტიტუტების ხელმძღვანელებისა და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური ჯგუფისა, საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებასა და პროგრამის გაუმჯობესებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელმძღვანელი პროფ. ნანა გაფრინდაშვილი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი პროფ. ეკატერინე ნავროზაშვილი, თსუს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელები პროფ. შოთა ფოთოლაშვილი და პროფ. დარეჯან გარდავაძე. ერთობლივად მათ მოახდინეს რეკომენდაციების შესწავლა, დასახეს და შეასრულეს შესაბამისი აქტივობები და მოამზადეს ანგარიში.

ანგარიშში მითითებული ინფორმაციით პროგრამული განვითარების კომიტეტზე განხილული და მოწონებული ცვლილებები ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დამტკიცდა ფაკულტეტის საბჭოზე (18.01.2024 ოქმი №1), შემდეგ კი გადაეცა საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს განსახილველად და შემდგომი მსვლელობის მისაცემად თსუ აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად. თსუ აკადემიურ საბჭოზე განხილვისა და დამტკიცების შემდეგ (07.02.2024 დადგენილება № 14/2024) კი დასრულდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარსადგენი ანგარიშის ფორმა და საანგარიშო პაკეტი.

⁸ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.



აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ოქმი (18.01.2024 ოქმი №1) და დადგენილება (07.02.2024 დადგენილება № 14/2024) დოკუმენტაციას არ ერთვოდა. დოკუმენტაციასთან ერთად წარმოდგენილი იყო მხოლოდ შემდეგი ოქმები:

1. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი (იხ. 2023 წლის 23 მარტის ოქმი #4), რომელიც ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამას არ ეხებოდა და, რომელსაც არ ესწრებოდა ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი პროფ. ეკატერინე ნავროზაშვილი;
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის ოქმი (იხ. 2023 წლის 9 ნოემბრის ოქმი #1⁹), რომელზეც მოხდა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებების დამტკიცება და რომელსაც არ ესწრებოდა ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი პროფ. ეკატერინე ნავროზაშვილი;
3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის ოქმი (იხ. 2024 წლის 15 იანვრის ოქმი #1), რომელზეც დამტკიცდა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებები და, რომელსაც არ ესწრებოდა ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი პროფ. ეკატერინე ნავროზაშვილი.

ამიტომაც 2024 წლის 8 აპრილს ცენტრს წარედგინა შესაბამისი განცხადება დოკუმენტაციის დამატებასთან დაკავშირებით, რასაც დაწესებულების მხრიდან მოჰყვა რეაგირება (8369/01-06-03) შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენით. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით გამოვლინდა შემდეგი გარემოება, კერძოდ, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი #1 (18.01.2024), აღნიშნულ პროგრამას არ ეხება. აღნიშნულ ოქმში წარმოდგენილი ინფორმაციით ვლინდება, რომ ოქმში მითითებულ სხდომაზე მოხდა შემდეგი 15 საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება: ინგლისურენოვანი ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის, ინგლისურენოვანი ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის, სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის, სკანდინავიური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის, თარგმანისა და კულტურათმორისი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის, შორეული აღმოსავლეთი, სინოლოგიის საბაკალავრო პროგრამის, შორეული აღმოსავლეთი, იაპონისტიკის საბაკალავრო პროგრამის, ესპანური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის, რომანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის, ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის, ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის სამაგისტრო პროგრამის, შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამისა და ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის. ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის დამტკიცება აღნიშნულ სხდომაზე არ მომხდარა, და, შემდგომშიც ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სახეცვლილი სახით დამტკიცება არ დგინდება არც უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული დადგენილებით № 14/2024, 07.02.2024¹⁰.

⁹ აღნიშნულ ოქმში გაპარულია მცირე უზუსტობა კომიტეტის სახელწოდებასთან დაკავშირებით.

¹⁰ იხ. <https://www.tsu.ge/ka/legalakad/48978>



რჩევები¹¹

1. უფრო მჭიდრო კოორდინაცია პერსპექტიულ დამსაქმებლებსა და მოდულების შემქმნელებს შორის სასარგებლო იქნება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების
1. სათანადოდ მომზადება შრომის ბაზარზე გასასვლელად და დამსაქმებლის საჭიროებების დაკმაყოფილება;
2. სასწავლო გეგმაში შესაძლებელია კავკასიის შესწავლის უფრო გლობალური მიდგომის ჩართვა. ეს მოიცავს საქართველოს კონტაქტების აღიარებას ახლო აღმოსავლეთის სამყაროსთან, აგრეთვე ქართული და კავკასიის სხვა ლიტერატურებს შორის ურთიერთობის შესწავლას;
3. განხილულ იქნეს დაბალი მიღების პროგრამების შერწყმა ან მოდიფიცირება, რათა ისინი უფრო პოპულარული გახადოთ;
4. შემოთავაზებულია დამატებითი უცხო ენის კურსების დამატება, განსაკუთრებული აქცენტით კითხვისა და წერის აკადემიურ უნარებზე, რაც გაზრდის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების კვლევის პოტენციალს საერთაშორისო დონეზე;
5. შემოთავაზებულია დოქტორანტების სემინარის მსგავსი აქტივობის ან კურსის ინტეგრირება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში, რაც უზრუნველყოფს საბაკალავრო და სამაგისტრო კვლევების ეტაპობრივ გაუმჯობესებას რეგულარული ზედამხედველობის ქვეშ;
6. შემოთავაზებულია კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობის შესახებ ინფორმაციისა და ცალკე შესაბამისი დოკუმენტების (სტუდენტების თანაავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები) შეგროვება და მიწოდება;
7. მიზანშეწონილია, სამაგისტრო/სადოქტორო დისერტაციების ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმების შემუშავება. მიზანშეწონილია, დოქტორანტის ხელმძღვანელების მაქსიმალური ლიმიტის გადახედვა;
8. სასურველია სტუდენტური სივრცეების რაოდენობის გაზრდა უნივერსიტეტში;
9. მეტი ძალისხმევა შეიძლება განხორციელდეს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, მათ შორის, სადოქტორო კომიტეტებში საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ მეცნიერთა ჩართვით, სადაც მათი გამოცდილება შესაბამისი ექნებათ;
10. დოქტორანტების დამატებითი მხარდაჭერა (მათ შორის მათი მუშაობისთვის დამატებითი ანაზღაურება) სასურველი იქნება, რადგან სადოქტორო დისერტაციის ზედამხედველობა შედის აკადემიური პერსონალის რეგულარულ სამუშაო დატვირთვაში. მიზანშეწონილი იქნება დოქტორანტის ხელმძღვანელობის სამუშაო დატვირთვის შემცირება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია¹²

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის ვადად საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად განესაზღვრა 2024 წლის 15 თებერვალი, თუმცა უსდ-მ ანგარიში წარმოადგინა დაგვიანებით 2024 წლის 26 თებერვალს. წარმოდგენის ვადის გადაცილება

¹¹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

¹² საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.



გამოწვეული იყო ხაზინის მიერ მოწოდებული საგადასახადო მოთხოვნის ვადის გადაცილებით, იხ. დოკუმენტი # 3443/01-06-03.

ანგარიშის მიხედვით, ანგარიშის მოსამზადებლად სამუშაო პროცესის დაგეგმვა მოხდა ფილოლოგიის პროგრამული განვითარების კომიტეტის სხდომაზე. ანგარიშში მითითებული ინფორმაციით პირველ ეტაპზე პროგრამისთვის რეკომენდებულ ცვლილებებზე იმუშავეს აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორმა, დარგობრივი მიმართულებების ს/ს ინსტიტუტების ხელმძღვანელებმა და პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა ჯგუფმა. შემდეგ საკითხი განსახილველად კვლავ პროგრამული განვითარების კომიტეტის სხდომაზე იქნა გატანილი, რომელსაც ესწრებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, განმახორციელებელი პერსონალი და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი. გარდა საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორისა, დარგობრივი მიმართულებების ს/ს ინსტიტუტების ხელმძღვანელებისა და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური ჯგუფისა, საბჭოს მიერ გაცემული რჩევების შესრულებასა და პროგრამის გაუმჯობესებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელმძღვანელი პროფ. ნანა გაფრინდაშვილი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი პროფ. ეკატერინე ნავროზაშვილი, თსუს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელები პროფ. შოთა ფოთოლაშვილი და პროფ. დარეჯან გარდავაძე. ერთობლივად მათ მოახდინეს რჩევების შესწავლა, დასახეს და შეასრულეს შესაბამისი აქტივობები და მოამზადეს ანგარიში.

ანგარიშში მითითებული ინფორმაციით პროგრამული განვითარების კომიტეტზე განხილული და მოწონებული ცვლილებები ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დამტკიცდა ფაკულტეტის საბჭოზე (18.01.2024 ოქმი №1), შემდეგ კი გადაეცა საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს განსახილველად და შემდგომი მსვლელობის მისაცემად თსუ აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად. თსუ აკადემიურ საბჭოზე განხილვისა და დამტკიცების შემდეგ (07.02.2024 დადგენილება № 14/2024) კი დასრულდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარსადგენი ანგარიშის ფორმა და საანგარიშო პაკეტი.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ოქმი (18.01.2024 ოქმი №1) და დადგენილება (07.02.2024 დადგენილება № 14/2024) დოკუმენტაციას არ ერთვოდა. დოკუმენტაციასთან ერთად წარმოდგენილი იყო მხოლოდ შემდეგი ოქმები:

4. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი (იხ. 2023 წლის 23 მარტის ოქმი #4), რომელიც ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამას არ ეხებოდა და, რომელსაც არ ესწრებოდა ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი პროფ. ეკატერინე ნავროზაშვილი;
5. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის ოქმი (იხ. 2023 წლის 9 ნოემბრის ოქმი #1¹³), რომელზეც მოხდა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებების დამტკიცება და რომელსაც არ ესწრებოდა ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი პროფ. ეკატერინე ნავროზაშვილი;
6. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის ოქმი (იხ. 2024 წლის 15 იანვრის ოქმი #1), რომელზეც დამტკიცდა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები და, რომელსაც არ ესწრებოდა ფილოლოგიის

¹³ აღნიშნულ ოქმში გაპარულია მცირე უზუსტობა კომიტეტის სახელწოდებასთან დაკავშირებით.



სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი პროფ. ეკატერინე ნავროზაშვილი.

ამიტომაც 2024 წლის 8 აპრილს ცენტრს წარედგინა შესაბამისი განცხადება დოკუმენტაციის დამატებასთან დაკავშირებით, რასაც დაწესებულების მხრიდან მოჰყვა რეაგირება (8369/01-06-03) შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენით. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით გამოვლინდა შემდეგი გარემოება, კერძოდ, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი #1 (18.01.2024), აღნიშნულ პროგრამას არ ეხება. აღნიშნულ ოქმში წარმოდგენილი ინფორმაციით ვლინდება, რომ ოქმში მითითებულ სხდომაზე მოხდა შემდეგი 15 საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება: ინგლისურენოვანი ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის, ინგლისურენოვანი ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის, სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის, სკანდინავიური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის, თარგმანისა და კულტურათმორისი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის, შორეული აღმოსავლეთი, სინოლოგიის საბაკალავრო პროგრამის, შორეული აღმოსავლეთი, იაპონისტიკის საბაკალავრო პროგრამის, ესპანური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის, რომანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის, ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის, ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის სამაგისტრო პროგრამის, შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამისა და ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის. ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის დამტკიცება აღნიშნულ სხდომაზე არ მომხდარა, და, შემდგომშიც ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სახეცვლილი სახით დამტკიცება არ დგინდება არც უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული დადგენილებით № 14/2024, 07.02.2024¹⁴.

დამატებითი ინფორმაცია¹⁵

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ¹⁶

სტანდარტის დასახელება ¹⁷	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება ¹⁸	1.1 პროგრამის მიზნები
რეკომენდაცია I ¹⁹	-

¹⁴ იხ. <https://www.tsu.ge/ka/legalakad/48978>

¹⁵ საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

¹⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

¹⁷ სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹⁸ კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹⁹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



შეფასება	-
რჩევა ²⁰ I	• უფრო მჭიდრო კოორდინაცია პერსპექტიულ დამსაქმებლებსა და მოდულების შემქმნელებს შორის სასარგებლო იქნება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების სათანადოდ მომზადება შრომის ბაზარზე გასასვლელად და დამსაქმებლის საჭიროებების დაკმაყოფილება; • მეტი ძალისხმევა შეიძლება განხორციელდეს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, მათ შორის, სადოქტორო კომიტეტებში საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ მეცნიერთა ჩართვით, სადაც მათი გამოცდილება შესაბამისი ექნებათ.
შეფასება	1. რჩევა გათვალისწინებულია. 2022 წელს უსდ-მ ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა, რომლის ფარგლებში შეისწავლა შრომის ბაზრის მოთხოვნები და მოახდინა დამსაქმებელთა მხრიდან კომპეტენციების იდენტიფიცირება. ხოლო საანგარიშო პერიოდში ფილოლოგიის პროგრამულ კომიტეტს შეემატა სამი ახალი წევრი. აღნიშნული დასტურდება ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციით და ოქმებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან არ ვლინდება პროგრამული კომიტეტის სრულყოფილი შემადგენლობა, ახალი წევრების პროფილური ორგანიზაციები და ის, ეხება თუ არა ახალი წევრების დამატება, უშუალოდ, ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამას. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ შრომის ბაზართან დაახლოება მნიშვნელოვანია როგორც სამაგისტრო, ასევე სადოქტორო დონეზე, შეინიშნება უსდ-ს სწრაფვა აღნიშნული მიმართულებით მუშაობის გაგრძელებისა და პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებისა შრომითი ბაზრის უკვე იდენტიფიცირებული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. 2. რჩევა გათვალისწინებულია. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან კონკრეტულად არ ვლინდება, მონაწილეობენ თუ არა, უშუალოდ, ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტები Erasmus + გაცვლით პროგრამებში, თუმცა ჩანს, რომ აღნიშნული შესაძლებლობები უნივერსიტეტში არსებობს და ჰუმანიტარული მიმართულების ბევრი დოქტორანტი მონაწილეობას იღებს Erasmus + პროგრამებში. შესაბამისად, შეინიშნება უსდ-ს სწრაფვა ამ მიმართულებით მუშაობის გაღრმავებისა. გარდა ამისა, უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრთან სადოქტორო პროგრამების შეფასების სტანდარტის მომზადებასთან დაკავშირებით და ცდილობს ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაუმჯობესებას უცხოელი კონსულტანტების მოწვევის გზით.
მტკიცებულებ(ებ)ა	• აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე;

²⁰ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	• საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და კონკრეტულად, ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის; • უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; • თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამების შრომითი ბაზრის კვლევის დოკუმენტი; • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის ოქმი (იხ. 2023 წლის 9 ნოემბრის ოქმი #1); • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის ოქმი (იხ. 2024 წლის 15 იანვრის ოქმი #1); • ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის უკანასკნელი წლების დასაქმების მაჩვენებელი; • მიზნობრივი და ფუნდამენტური გრანტების სიები
--	---

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.3 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია II	რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისათვის.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია ნაწილობრივ. ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციით „განახლებული საგანმანათლებლო პროგრამების მარტივად ადაპტირებისთვის ფაკულტეტის საბჭომ მნიშვნელოვნად მიიჩნია ინფორმაცია“ იმის შესახებ, რომ პროგრამების უმრავლესობას არ შეუცვლია მოქმედი კლასიფიკატორის სწავლის ვიწრო და დეტალური სფეროები და, შესაბამისად, 2023 წ. გაზაფხულის სემესტრში მოდერნიზებული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს განემარტათ, რომ ისინი მიჰყვებიან თავიანთი პროგრამების სასწავლო გეგმის განახლებულ ჩამონათვალს „იმ საგნობრივი თავსებადობების გათვალისწინებით, რაც ძველი და ახალი პროგრამების საგანთა შორის არსებობს და პროგრამების ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს“. იმის გათვალისწინებით, რომ რეკომენდაცია იყო კლასტერული, ხოლო არც ოქმით (18.01.2024 ოქმი №1) და არც



	დადგენილებით (07.02.2024 დადგენილება № 14/2024) არ ვლინდება ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სახეცვლილი სახით დამტკიცება, სავარაუდოდ, ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ეხებოდა არა, უშუალოდ, ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამას, არამედ მაგისტრატურის სხვა პროგრამებს. ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციით, 2023 წლის გაზაფხულის სემესტრში ჰქონდათ შეხვედრები საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებთან და შემუშავდა სტუდენტებისთვის, კურსდამთავრებულებისათვის და დამსაქმებლებისთვის ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა გზა: • „განახლებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის (პროგრამების აღწერების, სასწავლო გეგმების და სხვ.) განთავსება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდზე“. შემოწმების პროცესში გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ატვირთულია ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის ის შინაარსი და სტრუქტურა, რომელიც ერთვის ანგარიშთან ერთად წარმოდგენილ დოკუმენტაციას. თუმცა სტრუქტურაში მითითებულია აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი და დადგენილების ნომერი: 97/2022; 10/10/2022. აღნიშნული კი მეტყველებს იმაზე, რომ პროგრამის სტრუქტურა არ შეცვლილა 2023 წლის 15 თებერვლის შემდეგ; • „საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, პროგრამებით დაინტერესებულ ყველა პირთან, მათ შორის, დამსაქმებელთან“. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული შემოწმება არ ითვალისწინებდა სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას, შესაბამისად, ძნელია იმის თქმა განხორციელდა თუ არა ზემოხსენებული შეხვედრები, უშუალოდ, ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებთან; • „ტუტორიალის გააქტიურება სწავლის დაწყებამდე, სემესტრული რეგისტრაციის პერიოდებში“. აღნიშნული განეკუთვნება სამომავლო აქტივობას, რომლის შემოწმება ამ ეტაპზე შეუძლებელია; • „განახლებული აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების რეკლამირებისთვის საუნივერსიტეტო ღია კარის დღეების ორგანიზება“. აკრედიტაციის შემდეგ უნივერსიტეტში მოხდა ღია კარის დღის ორგანიზება, რაც დასტურდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციით; • „რიგ შემთხვევებში ინფორმაციის გავრცელება პროგრამების შესახებ სოციალური ქსელებით სტუდენტური მიღწევებისა და წარმატებების შესახებ“. აღნიშნულის სრულყოფილად შემოწმება შეუძლებელია, თუმცა არა ერთხელ სოციალურ ქსელებში და სხვა მედია საშუალებაში
--	--



	ვრცელდებოდა ინფორმაცია უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების წარმატების შესახებ.
რჩევა II	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ებ)ა	• აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე; • საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და კონკრეტულად, ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის; • უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; • თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცებული პროგრამული ცვლილებების ოქმი (18.01.2024 ოქმი №1) და თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება № 14/2024, 07.02.2024; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: ○ 21-22 მარტი, ღია კარის დღე თსუ-ში!, იხ. https://tsu.ge/ka/news/-%E1%83%A6%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%94-%E1%83%97%E1%83%A1%E1%83%A3-%E1%83%A8%E1%83%98-21-22-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98; ○ პროგრამის შინაარსი, იხ. https://tsu.ge/assets/media/files/57/Philology%20PhD%20program.pdf და პროგრამის სტრუქტურა, იხ. https://www.tsu.ge/assets/media/files/57/GE_PhD_Philologia_structure_2022%20for%20ACC.pdf; ○ დოქტორანტების წარმატება, იხ. https://tsu.media/giorgijgarkava?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTEAA_R1HTMwWWdKxRogKSctiOwh_72_Z-SzN-N4pMgQXAZZ0vFVBSInw-TmBVXo_aem_AR6a-TFpxPof0FanWYmd-ReLeEmdMm4usx2pRneWEcCDoYuGAwUJPI8gQPlwI9jnSSV9PhwtduwosjIBbBPkoCjk • ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის აღწერილობა (ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სია და პროგრამის შინაარსი).
სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა



კომპონენტის დასახელება	1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია III	-
შეფასება	-
რჩევა III	სასწავლო გეგმაში შესაძლებელია კავკასიის შესწავლის უფრო გლობალური მიდგომის ჩართვა. ეს მოიცავს საქართველოს კონტაქტების აღიარებას ახლო აღმოსავლეთის სამყაროსთან, აგრეთვე ქართული და კავკასიის სხვა ლიტერატურებს შორის ურთიერთობის შესწავლას.
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია. პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით, პროგრამის კვლევით მიმართულებას ისედაც წარმოადგენს კავკასიის სხვადასხვა თვალსაზრისით შესწავლა, მაგ. ქართულ-კავკასიური ფოლკლორული ურთიერთობების, კავკასიური ფოლკლორის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური და ლიტერატურულ-ისტორიული ასპექტების და ა.შ. გარდა ამისა, პროგრამის გეგმით გათვალისწინებულია დოქტორანტის დარგობრივი სემინარი, რომლის ფარგლებში ფაკულტეტზე არსებული სხვადასხვა მიმართულების დოქტორანტს ეძლევა საშუალება დაესწროს სხვადასხვა დარგობრივ მოხსენებას და იმსჯელოს აქტუალურ სამეცნიერო საკითხებზე, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა სხვადასხვა მიმართულებას აერთიანებს დოქტორანტებს ისედაც აქვთ შესაძლებლობა დაესწრონ მოხსენებებს არა მხოლოდ კავკასიის, არამედ ლიტერატურათმცოდნეობის და სხვა კვლევითი თემატიკების შესახებ.
მტკიცებულებ(ებ)ი	• აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე; • საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და კონკრეტულად, ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის; • უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; • თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდი (საგანმანათლებლო პროგრამები); • ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის აღწერილობა (ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სია და პროგრამის შინაარსი).

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.1 პროგრამით დაშვების წინაპირობები



რეკომენდაცია V	სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს უცხო ენის B2 დონეზე ცოდნა;
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაცია ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამას არ ეხება.
რჩევა V	განხილულ იქნეს დაბალი მიღების პროგრამების შერწყმა ან მოდიფიცირება, რათა ისინი უფრო პოპულარული გახადოთ.
შეფასება	რჩევა შესრულებული არ არის, რადგანაც ეხებოდა კლასტერში გაერთიანებულ სხვა პროგრამებს. ამის გარდა, თვითონ სადოქტორო პროგრამა შეიქმნა მცირეკონტინგენტიანი 14 პროგრამის გაერთიანების ხარჯზე და ამ ეტაპზე ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციით უსდ აკვირდება ასეთ პროგრამებს და ახდენს მიღებული შედეგების ანალიზს.
